

შპს „ჯეომედ-Geomed“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2021 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებით შენიშვნები	7-13

შპს „ჯეომედ-Geomed“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	6	371,485	379,395
არამატერიალური აქტივები		1,992	2,657
სულ გრძელვადიანი აქტივები		373,477	382,052
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები		746,237	634,851
სავაჭრო მოთხოვნები		1,100,257	1,407,990
გადახდილი ავანსები		119,555	84,770
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		2,165,674	1,946,600
სხვა მიმდინარე აქტივები		9,012	8,493
სულ მიმდინარე აქტივები		4,140,735	4,082,704
სულ აქტივები		4,514,212	4,464,756
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>საკუთარი კაპიტალი</i>			
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		4,073,391	4,003,637
სულ საკუთარი კაპიტალი		4,073,391	4,003,637
<i>ვალდებულებები</i>			
სავაჭრო ვალდებულებები		324,141	322,772
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		67,108	47,525
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		463	463
სხვა ვალდებულებები		49,109	90,359
სულ ვალდებულებები		440,821	461,119
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,514,212	4,464,756

დირექტორი:



ბუღალტერი:



7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეომედ-Geomed“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	3,007,341	3,362,384
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(2,163,845)	(2,343,833)
საერთო მოგება		843,496	1,018,551
სხვა საოპერაციო შემოსავლები		2,247	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(721,497)	(578,551)
საოპერაციო მოგება		124,246	440,000
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)		6,884	14,750
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)		(56,113)	32,382
სავალუტო ოპერაციებიდან			
მოგება დაბეგვრამდე		75,017	487,132
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		75,017	487,132
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		75,017	487,132

დირექტორი:



ბუღალტერი:



7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეომედ-Geomed“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	2021	2020
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,338,459	3,711,085
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2,982,806)	(3,464,919)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(238,517)	(181,485)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	117,136	64,681
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(7,634)	(5,018)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(7,634)	(5,018)
საფინანსო საქმიანობა		
დივიდენდების გადახდა	(5,000)	(210,000)
მიღებული პროცენტები	6,884	11,094
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1,884	(198,906)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	111,386	(139,243)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	634,851	774,094
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	746,237	634,851

დირექტორი:



ბუღალტერი:



7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეომედ-Geomed“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი -31.12.2019 წ.	3,738,751	3,738,751
2020 წლის წმინდა მოგება /(ზარალი)	487,132	487,132
დივიდენდის განაწილება	(222,246)	(222,246)
ნაშთი - 31.12.2020 წ.	4,003,637	4,003,637
2021 წლის წმინდა მოგება/ (ზარალი)	75,017	75,017
დივიდენდის განაწილება	(5,263)	(5,263)
ნაშთი - 31.12.2021 წ.	4,073,391	4,073,391

დირექტორი:



ბუღალტერი:



7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეომედ-Geomed“ დაფუძნდა 2010 წლის 13 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველები არიან :

- ლევან სამარგულიანი 25%;
- მამუკა ლოლაძე 25%;
- დავით შუბითიძე 25%;
- კახაბერ ოქრიაშვილი 25%;

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირია: ლევან სამარგულიანი- დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა სამედიცინო და ორთოპედიული საქონლით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. 41

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- სასამართლო დავები. კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი. 2022 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები.

•

4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას. წარმოდგენილი ორგანიზაციის მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო	100 რუსული რუბლი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	4.1479
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233	4.4031

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება გადაზიდვების მომსახურების საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა -ნაგებობები	10
ავტო ტრანსპორტი	4 - 5
ოფისის სტრუქტურა	5 - 8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 - 8
სხვა	4 - 5

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია იბეგრებოდა მოგების გადასახდით, თუ მოხდებოდა მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. გარდა ამისა კომპანია არ იხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებს მოგების განაწილებას დივიდენდის სახით 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან. რის გამოც მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(იხ. ცხრილი გვ. 11)

7. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის მიერ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2021 წელს შეადგინა 3 007 341 ლარი

შემოსავალი	2021	2020
საქონლის მიწოდებიდან		
მიღებული შემოსავალი	3 007 341	3 360 740
მომსახურების მიწოდებიდან		
მიღებული შემოსავალი	-	1 644
სულ	3 007 341	3 362 384

შპს „ჯეომედ-Geomed“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ისტორიული ღირებულება	შენიშნა ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	ავტო ტრანსპორტი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	362,872	20,255	28,697	11,836	423,660
შემოსვლა	847	4,080	90	-	5,018
გასვლა	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	363,719	24,335	28,787	11,836	428,677
შემოსვლა	-	6,250	1,384	-	7,634
გასვლა	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	363,719	30,585	30,171	11,836	436,311
დაგროვილი ცვლილება					
დაგროვილი ცვლილება 31.12.2019	(3,557)	(11,410)	(11,625)	(6,334)	(32,927)
ცვლილება 2020	(7,267)	(2,191)	(5,750)	(1,147)	(16,356)
დაგროვილი ცვლილება 31.12.2020	(10,825)	(13,602)	(17,375)	(7,481)	(49,283)
ცვლილება 2021	(7,274)	(2,949)	(3,945)	(1,376)	(15,544)
დაგროვილი ცვლილება 31.12.2021	(18,099)	(16,551)	(21,320)	(8,857)	(64,827)
საბალანსო ღირებულება					
საბალანსო ღირებულება 31.12. 2019	359,315	8,844	17,072	5,502	390,733
საბალანსო ღირებულება 31.12. 2020	352,895	10,733	11,411	4,355	379,395
საბალანსო ღირებულება 31.12. 2021	345,621	14,034	8,850	2,979	371,485

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

8. რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
საწყისი სასაქონლო- მატერიალური მარაგი	1946600	1,331,574
შესყიდული მარაგი	2374211	2,944,367
მომსახურება	8709	14,492
საბოლოო მარაგი (-)	2165674	1,946,600
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2,163,845	2,343,833

9. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენილი:

	2021	2020
მიწოდების ხარჯები	52,886	15,139
დასაქმებულთა ანაზღაურება	613,480	503,663
ცვეთა და ამორტიზაცია	16,210	17,020
კომუნალური ხარჯები	3,963	8,655
სამეურნეო საოფისე ხარჯები	19,384	6,830
ბანკის მომსახურება	6,435	6,022
მივლენება	-	380
სხვა საერთო და წარმომადგენლობითი ხარჯი	2,898	1,520
საგადასახადო ხარჯი	3,783	3,868
რეკლამის ხარჯი	957	14,205
აუდიტორული მომსახურება	1,500	1,250
	721,497	578,552

10. პოტენციური ვალდებულებები

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ახალი კორონავირუსის პირობებში წარმოქმნილი რისკების გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპარაციებს, თუ ამ ოპარაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

11. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

12. შესადარისი ინფორმაცია

წინა პერიოდის უზუსტობის გამოსწორების მიზნით გაკეთდა შედარებითი ინფორმაციის შედარება. ამ ცხრილში ნაჩვენებია 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის მონაცემები, რომ შეჯამებული იქნას კორექტირებები, ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელებული ცვლილებები.

	2020 საბოლოო	კორექტირებ ა	2020 ძველი წინა ანგარიშგების მიხედვით
ძირითადი საშუალებები	379,395	1,221	378174
ფული და ფულის ეკვივალენტები	634,851	29,535	605316
სავაჭრო მოთხოვნები	1,407,990	(11,991)	1419981
გადახდილი ავანსები	84,770	(43,427)	128197
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,946,600	(29,300)	1975900
სხვა მიმდინარე აქტივები	8,493	5,597	2896
სულ მიმდინარე აქტივები	4,462,099	(48,365)	4,132,290
გაუნაწილებელი (ზარალი)	4,003,637	661,281	3342356
სულ საკუთარი კაპიტალი	4,003,637		3,342,356
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	322,772	(677,746)	1000518
საგადასახადო ვალდებულებები	47,525	(34,250)	81775
სხვა ვალდებულებები	90,359	2,350	88009
სულ ვალდებულებები	460,656		1,170,302
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,464,293	(48,365)	4,512,658